# პროფესიული ზედამხედველობა სოციალურ მუშაობაში

**ნონა ჩაჩანიძე**

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი შორენა საძაგლიშვილი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2024**

# განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნონა ჩაჩანიძე.

20/06/2024

# აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომის მიზანია მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია თუ რა პრაქტიკა არსებობს ქვეყანაში პროფესიული ზედამხედველობის მიმართულებით სოციალურ მუშაობაში, კვლევა განხორციელდა სამი უწყების დონეზე: დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში. შესაბამისად, ნაშრომში წარმოდგენილია ზემოხსენებულ უწყებებში დასაქმებული სპეციალისტების მოსაზრებები თავიანთ სამუშაო ადგილზე არსებული პროფესიული ზედამხედველობის პრაქტიკის შესახებ. ნაშრომში აღწერილია თუ რამდენად ერთგვაროვანია აღნიშნული პრაქტიკა უწყებებს შორის. განხილულია თუ რა გამოწვევებს აწყდებიან სპეციალისტები პროფესიული ზედამხედველობის პროცესში და რა რეკომენდაციები აქვთ აღნიშნული პროცესის გაუმჯობესებისთვის. ასევე, რა საკანონმდებლო ჩარჩო აქვთ უწყებებს, რაც არეგულირებს პროფესიულ ზედამხედველობის პროცესს.

კვლევის პროცესი წარიმართა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით, კერძოდ განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუები. კვლევაში მონაწილე პირები შერჩეულ იქნენ მიზნობრივი შერჩევით. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკები, პროფესიული ზედამხედველები და მენეჯერული რგოლის წარმომადგენლები. ასევე, საკვლევი საკითხის ირგვლივ ინფორმაციისა და მასალის შეგროვების მიზნით გამოყენებული იყო სამაგიდე კვლევა. ნაშრომში მიმოხილულია სამეცნიერო ლიტერატურა, რომელზე დაყრდნობითაც განხილულია პროფესიული ზედამხედველობის როლი და მნიშვნელობა სოციალურ მუშაობაში, მისი

ისტორია, თეორიული მოდელები, პროფესიული ზედამხედველობის სტანდარტი, ეთიკური საკითხები, საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკა.

განხორციელებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევები: ადამიანური რესურსის სიმწირე, მაღალი სამუშაო დატვირთვა, პროფესიული ზედამხედველისთვის დაკისრებული დამატებითი საქმიანობები, გარე პროფესიული ზედამხედველობის შესაძლებლობის არ ქონა, კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობის ნაკლებობა, ინფრასტრუქტურის საკითხები, პროფესიული გადაწვა, ჯგუფური პროფესიული ზედამხედველობის განხორციელების სირთულეები, პროფესიული ზედამხედველისა და ადმინისტრაციული მენეჯერის ფუნქციების გამიჯვნა, პროფესიული ზედამხედველობის არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რეგიონის სოციალურ მუშაკებთან პირისპირ შეხვედრების სიმწირე, უწყვეტ პროფესიული ზრდასთან დაკავშირებული გამოწვევები.

# Abstract

This paper aims to inform the reader about existing practices in social work in the direction of professional supervision in Georgia. The study was conducted at three different organizations: National Agency for Crime Prevention, Non-custodial Sentences and Probation; State Care and Victims of Trafficking, Victims' Assistance Agency; and Psychosocial Service Center of the Educational Institution's Mandator Service. Accordingly, the paper presents the opinions about the existing practice of professional supervision of the specialists employed in the organizations mentioned above. The paper describes how near the mentioned practices are among the organizations. It discusses the challenges specialists face in professional supervision and their recommendations for improving the process. The paper delves into how the legal framework for professional supervision varies across different organizations.

The study utilized qualitative methods, specifically in-depth interviews. The participants in the study were selected using purposive sampling. The target group is representatives of the National Agency for Crime Prevention, Non-custodial Sentences and Probation; State Care and Victims of Trafficking, Victims' Assistance Agency; and Psychosocial Service Center of the Educational Institution's Mandator Service, specifically, social workers and professional supervisors of social workers. Concerning the research purpose, desk research was utilized to collect information and documents. The paper reviews the scientific literature and discusses the role and importance of professional supervision in social work, its history, theoretical models, the standard of professional supervision, ethical issues, and international and local practices.

The study outlines the following challenges: lack of human resources, high workload, additional duties assigned to the professional supervisor, lack of possibility of external professional supervision, lack of opportunity for qualification improvement, infrastructural issues, professional burnout, challenges with implementing group professional supervision, challenges with differentiate the functions between professional supervisor and administrative manager, different practices of supervision, scarcity of face-to-face meetings with regional social workers, and lack of continuous professional growth.

# მადლობა

მადლობას ვუხდი ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ შორენა საძაგლიშვილს, რომელიც მუდმივად მაძლევდა რეკომენდაციებს ნაშრომის მომზადების პროცესში. გარდა ამისა, დამსახურებულ მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე სოციალურ მუშაკებს, პროფესიულ ზედამხედველებს და მენეჯერული რგოლის წარმომადგენლებს, ასევე, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრსა და სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, რათა მომცეს შესაძლებლობა განმეხორციელებინა კვლევა აღნიშნული საკითხის ირგვლივ.